

პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ საშობაო საჩუქარი კათარზის

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ტრადიციისამებრ აგრძელებს სოციალურად დაუცველი თბილისელებისთვის თანადგომის აქციას. საშობაო-საქველმოქმედო სადილის ფარგლებში კომპანია GIG კათარზისის ბენეფიციარებსა და სტუმრებს საახალწლო სადილით გაუმასპინძლდა.

7 იანვარს, კომპანიისა და კათარზისის ორგანიზებით გამართულ აქციაში 400-მდე ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია წლებია რაც მიუსაფარი და უმწეო მოხუცებისთვის, როგორც დღესასწაულებზე, ასევე წლის განმავლობაში „ცხელი სადილით“ მასპინძლობს მათ.

07.01.16

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

